საქართველოს სტატისტიკის
ეროვნული სამსახური
ნდრო მონაცემები ცწორი გადწყვეტილებებისთვის!
19.11.2026

საზღვაო ნავსაღგურები და ტერმინალები

2026 წლის III კვარტალი




19.11.2026

საზღვაო ნავსადგურებისა და ტერმინალების ძირითადი მაჩვენებლები
(2026 წლის III კვარტალი)

2026 წლის III კვარტალში საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოვიდა 528[1] გემი, რომელთა 47.2 პროცენტი იყო გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთის გადამზიდი, 30.7 პროცენტი — თხევადი ტვირთმზიდი, 17.4 პროცენტი — კონტეინერმზიდი, ხოლო დანაჩენი 4.7 პროცენტი ნაყარ ტვირთმზიდზე, სპეციალიზებულ და სხვა გემებზე განაწილდა.

2026 წლის III კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 53.3 პროცენტით მეტი კონტეინერმზიდი მიიღო, 33.9 პროცენტით მეტი — თხევადი ტვირთმზიდი, 15.8 პროცენტით მეტი — გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთმზიდი გემი, 18.2 პროცენტით ნაკლები — ნაყარი ტვირთმზიდი, სპეციალიზებული კი — 90.9 პროცენტით ნაკლები.

შემოსული გემების რაოდენობა ტიპების მიხედვით,
(ერთეული)




[1]წყარო: სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

19.11.2026

2026 წლის III კვარტალში საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების 17.8 პროცენტი პანამის დროშის ქვეშ დაცურავდა, 14.0 პროცენტი — ლიბერიის, 13.8 პროცენტი — თურქეთის, 10.8 პროცენტი — მალტის, დანარჩენი 43.6 პროცენტი კი სხვა ქვეყნებზე განაწილდა.


საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების რაოდენობა რეგისტრაციის ქვეყნების (დროშა) მიხედვით,
(ერთეული)



19.11.2026

2026 წლის III კვარტალში საქართველოს ნავსადგურები 6.0 ათას მგზავრს მოემსახურა, რაც 40.3 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. ამასთან, მგზავრთა ნაკადში შემოსული მგზავრების წილი აღემატებოდა გასული მგზავრების წილს და 51.6 პროცენტს შეადგენდა.


მგზავრთა ნაკადი საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში,
(ათასი კაცი)



19.11.2026

2026 წლის III კვარტალში საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 5 636.6 ათასი ტონა ტვირთი გადაამუშავა, რაც 26.9 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. გადამუშავებული ტვირთის 42.2 პროცენტი გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთი იყო, 39.7 პროცენტი — თხევადი ტვირთი, ხოლო 18.1 პროცენტი — ნაყარი ტვირთი.

გადამუშავებული ტვირთის მოცულობა სახეების მიხედვით,
(ათასი ტონა)



საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge